ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2312 ორშაბათი, 3 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2312

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

ნინო მერაბის ასული იოსელიანისა შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დაკრძალვა მისის უდროოდ გარდაცვალებულის ასულის

მართასი

დანიშნულია ორშაბათს, სამს ნოემბერს, ამაღლების ეკლესიაში.

ტფილისის სადგურიდან ცხედარს გამოასვენებენ დილის ცხრა საათზე იმავე რიცხვს. (3—3)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 4 ნოემბერს, 1903 წელს **გ. ვ. გედევანოვის საბენეფისოდ**
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

სევილიელი დალაქი

კომედია 4 მოქმ. ბომარშესი, თარგ. დ. ყიფიანისა.

II

დუელი

იუმრობა 1 მოქმ. გად. კ. გალუსტოვის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, გაბუნია-ცაგარლისა, დავითაშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ივანიძე, საფაროვი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი აკაკი

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
ორშაბათს, 3 ნოემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქნება

დემონი

ოპერა 5 მოქმედებად, მუსიკა რუბინშტეინისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გალცინა, ლელინა; ბ-ნნი: რაისკი, ჯირალდონი, ილიუშჩენკო.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ი. პოზენი.
ანონსი. 4 ნოემ.—„ფრანჩესკო და რიმინი“; 5 ნოემ. მე-2 გასტ; ჯირალდონისა—„ევგენი ონეგინი“. (ნ).

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მკურნალ ის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ჟიჟინაძე.—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. მ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.) **ტელეფონი № 274.**

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი
ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაძისა. (წლ.)

გამოცდილი
მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (0—7)

საზღვარ-გარედ

ჩინეთი საომრად ემზადება

ინგლისურ გაზ. „დეილი ტელეგრაფ“-ს დეპეშით ატყობინებენ შანჰაიდან: „ჩინეთის დიდმა საბჭომ ყველა მეფის მოადგილესა და გუბერნატორს დეპეშით ბძანება გაუგზავნა: ფული მოკრიბეთ და ჯარი მოაგროვეთ, რადგან მალე რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა უნდა შევწყვიტოთო. ჩინეთის მთავრობის გაცოცხლებამ და გამხნევებამ პროვინციელი მოხელეები მეტად გაახარა“.

„დეილი ტელეგრაფ“-ი ირწმუნება, ეს ცნობა სარწმუნო, მცოდნე კაცისაგან მივიღეთო. მაგრამ გერმანულ გაზეთებს არც თუ ძლიერა სჯერათ ეს ცნობა.

ჩინეთის გარეშე საქმეთა ახალი მინისტრი—ნატუნი

ინგლისური გაზეთები იუწყებიან: ჩინეთის მთავრობამ ეხლა გარეშე საქმეთა მინისტრად ნატუნი დანიშნა. ნატუნი აქამდე ფინანსთა მინისტრად იყო; მეტად ზრდილი, თავ-მდაბალი, განათლებული, მოხერხებული და ნიჭიერი კაცია. ნამდვილი გულწრფელი პატრიოტია. მანდარინებსა, მოხელეებსა, თუ უბრალო ხალხს ყველას ძლიერ უყვართ ახალი მინისტრი. ბოქსიორთა აჯანყების ნამდვილი თავი ხელმძღვანელიც ეს იყო, ეგ არის ფარულად მოქმედებდა. ევროპის დიპლომატებმა მაინც გაუგეს და აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, 1900 წელს, ბეჯითად მოითხოვეს ნატუნის სიკვდილით დასჯა, მაგრამ ჩინეთის მთავრობა არ დასთანხმდა დიპლომატებს და, როგორც იყო, ჩინელი პატრიოტი სიკვდილს გადაარჩინა. ჩინეთ-იაპონიის ომის დროს 1894 წ. ნატუნი ლიხუნჩანგს გააყოლეს იაპონიაში ზავის თაობაზე მოსალაპარაკებლად; მას აქეთ ნატუნი დიდის თანაგრძნობით ეკიდება იაპონიას. ახალი მინისტრი დიდ პატივსა სცემს ევროპიულ განათლებას და ახალ სამხედრო წესებსა და იარაღებს დიდის ინტერესით ადევნებს თვალყურს. იმედია, ნატუნი მალე მთელ ქვეყანას აალაპარაკებს, ისე როგორც განსვენებულ ლიხუნჩანგის მოადგილემ—განთქმულმა იუანშიკაიმ აალაპარაკა.

რუსეთი და გერმანია

გერმანული ოფიციოზური გაზეთები ირწმუნებიან, რუსეთი და გერმანია ეხლა ისევ ერთმანერთს დაუახლოვდნენ, ამას იქით შორეულ აღმოსავლეთისა თუ ახლო აღმოსავლეთის საქმეში თანხმობით იმოქმედებენ და ერთმანეთს მხარს დაუჭერენო. როგორც ადრე, როცა გერმანია დანიას, ავსტრიასა და საფრანგეთს ეომებოდა და რუსეთმა ხელი არაფრით შეუშალა, ისე ეხლა გერმანია არსად არ დააბრკოლებს რუსეთსაო. გერმანულ და რუსულ გაზეთებს მომეტებულ ნაწილად ძლიერ ესიამოვნათ ეს დაახლოვება, მაგრამ ზოგიერთ დამოუკიდებელ გერმანულ გაზეთს ჯავრიც მოჰსვლია, ჩვენი მთავრობა რაც უახლოვდება, რაც უმეგობრდება რუსეთსაო. ასე, მაგალითად, „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ს დაუწერია: „გარმანიის ერი არას დროს თანაგრძნობით არ მოეკიდება და მხარს არ დაუჭერს ყაჩაღების (რუსეთის) პოლიტიკასაო“. ინგლისურ გაზეთებს ძლიერ გაჰხარებიათ „ფრანკფ. ცაიტუნგ“-ის სიტყვები და დიდის სიამოვნებით გადაურთგმანიათ თავიანთ მკითხველების სასიამოვნოდ.

მინისტრ როზანოს თავის მოკვლა

რუსულ გაზ. „ბირჟევაია ვედომოსტი“-ს რომიდან დეპეშით ატყობინებენ:

27 ოქტომბერს ნეაპოლში იტალიის ფინანსთა მინისტრმა როზანომ თავი მოიკლა. განსვენებულს ამნაირი წერილი დაუტოვებია: „ყოველთვის პატიოსანი კაცი ვყოფილვარ და ვარ კიდეც. სრული 30 დღე საზიზღარ ბრალსა მდებდნენ, სიცოცხლე ჩამაშხამეს. მეტი გაძლება აღარ შემიძლიან. ჩემმა შვილებმაც ბევრი მწუხარება გამომატარეს, მიპატივებია იმათთვის; მიპატივებია აგრეთვე ჩემის მტრებისათვის, თუმცა აუტანელი ტანჯვა მომაყენეს. ბოლოს ყველაფერში გავმართლდები“. ამ ამბავმა მთელი საზოგადოება ააღელვა. საქმე ასე ყოფილა: სოციალისტმა დეპუტატმა ბერგამასკომ გაზ. „ავანტი“-ში დასწერა: როზანომ, დეპუტატად რომ იყო, 5 ათასი ლირა ქრთამი გამომართვაო. პირველმა მინისტრმა ჯიოლიტიმ ამაზე პასუხი მოსთხოვა როზანოს, ის წავიდა და პასუხის მიცემის მაგივრად თავი მოიკლა. ჰფიქრობენ, ჯიოლიტის კაბინეთის საქმე ცუდად წავაო. სოციალისტები იმუქრებიან, კიდევ სხვა საქმეებს გამოვააშკარავებთო. ზოგიერთი გაზეთი ირწმუნება, ჯიოლიტის სამინისტრო მალე დაეცემაო.

◆

ახალი ამბავი

◆ როგორც გვითხრეს, „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას გადაუწყვეტია დააჩქაროს **ნიკ. ბარათაშვილის** საფლავზე ძეგლის დადგმის საქმე. ამისათვის გამგეობა მიჰმართავს თხოვნით ი. ი. წინამძღვარიშვილს, რომელსაც შენახული აქვს ამ საქმისთვის ფული, და რაც დააკლდება თითონ შეაგროვებს.

ძლივს!..

◆ დღეს, 3 ნოემბერს, **ქალაქის საბჭოს კრებაზე,** სხვათა შორის, უნდა მოხდეს არჩევნები გამგეობის ერთის წევრისა, ბ-ნ შესტაკოვის ნაცვლად. საბჭომ უნდა განიხილოს აგრეთვე მოხსენება ბასტამოვისა ცხენის რკინის გზის გაყვანის შესახებ ავლაბარში.

◆ 8 ნოემბერს რკინის გზის **სატეხნიკო სასწავლებელში** გაიმართება წლიური აქტი.

◆ **ჯარში გაწვეულთა** ხელ-ახლად შესამოწმებლად ბრძანებაა გაცემული ტფილისსა, ქუთაისსა, განჯასა და სხვაგან შესდგეს განსაკუთრებული კომისიები.

◆ 15 ნოემბრიდან, ზოგიერთ **ნახევარ სადგურებზე** ნება დართული იქმნება საქონლის მიღება და გაგზავნა. აი, ეს სადგურები: სვირი, წიფა, სკრა, ნავთლუხი, ყარათაპა და სხვა.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ბ-ნთ ელისეევსა და ინჟ. ფრეზეს განზრახვა აქვთ შეადგინონ საზოგადოება საავტომობილო საზოგადოების მოსაწყობად შავის ზღვის პირად. ამ საზოგადოების წესდების პროექტის განსახილველად ფინანსთა სამინისტროსთან შესდგა კომისია მინისტრის ამხანაგის ტიმირიაზოვის თავმჯდომარეობით. ხსენებულ საზოგადოებას აზრადა აქვს მიმოსვლა მოაწყოს ჩერნომორის გუბერნიასა, სოხუმის ოლქსა, ქუთაისის გუბერნიასა და ტემრიუკის მაზრაში.

◆ ქუთაისში გაბრიელის სახელობაზე არსებულ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგე ელენე ჯინოვისა გვთხოვს დავბეჭდოთ: „უღრმესს მადლობას ვუცხადებ ისიდორე გრიგოლის ძე კვიცარიძეს, რომელმაც თავის მეცადინეობით შეჰკრიბა საწევრო ფული 14 მან. გაბრიელის სახელობაზე არსებულ წიგნთ-საცავ-სამკითხველოსთვის; მადლობას ვუცხადებ აგრეთვე იმათ, ვინც კეთილ ინება და ჩაეწერა წევრად“.

პრესსა

„ნოვ. ობოზ.“-ში ლევ. ყიფიანი იხსენებს ვ. აბაშიძის იუბილეის. როგორც იცით, სხვათა შორის,

> იუბილიარს ორმა საზოგადოებამ—თიონეთისა, და, თუ არა ვცდები, საჩხერისამ—მიართვა ორი ნაჭერი მიწა; ამასთანავე გრძნობით სავსე ადრესებსა და დეპეშებში აღთქმული იყო, რომ ნაჩუქარ ადგილებზე დავაარსებთ ვ. აბაშიძის სახელობის სკოლასაო. ერთ ნაჭერ მიწის საყიდლად თიონეთის მაზრაში, მაგალითად, ფულიც იყო შეგროვილი. მაგრამ, მართლა იყიდეს თუ არა მიწა და, საზოგადოდ, რა მდგომარეობაშია იუბილიარის სახელობის სკოლის დაარსების საქმე,—ვერც მე, ვერც თვითონ იუბილიარმა ვერაფერი გავიგეთ. ვიღაცების მხრით კიდევაც იყო კეთილი განზრახვა, რომლის კვალი აღიბეჭდა რიხიან სიტყვებში, მჭევრმეტყველურად შედგენილს დეპეშებში, გაზეთების წერილებში, მაგრამ ნამდვილად არაფერიც არ იყო. ნუ-თუ ყოველივე ეს უბრალო ტრაბახობა იყო? ამ საკითხის პასუხს მოველით ზემოხსენებულ ორ საზოგადოებათა წარმომადგენლებისაგან. აქ საქმის გამორკვევა მით უფრო საინტერესოა, რომ თვით „პატრონმა“ ამ მიწებისა გამოსთქვა სურვილი, ერთ-ერთი ნაჭერი საქველ-მოქმედო საქმეს მოახმაროს. მაშ—სადღაა ეს ადგილები და სადაა არტისტის ვასო აბაშიძის სახელობის სკოლა?
>
> ვეჭვობთ, რომ ამ დაკითხვაზე ვინმემ ხმა ამოიღოს, ვინაიდან „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უძევს დიდი ზღვარი.“

⁂

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ავლაბრის ახალ თეატრში, რომელიც ბ-ნ არაქსიანს უჭირავს, ქართული წარმოდგენები მოისპო. ამ თეატრში დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ შვიდი თუ რვა წარმოდგენა გამართა და არც ერთ წარმოდგენის შემოსავალს ხარჯი არ დაუფარავს. მიზეზი მაშინვე აღნიშნეს გაზეთებმა: საოცარი სიძვირე ადგილებისა და დიდი ქირა თეატრისა. ეხლა ბ-ნი არაქსიანი სწერს „ტიფ. ლისტ.“-ში რომ მიზეზი ზარალისა—ეს კი არა, სხვა რამე იქნებოდა, რადგან ქირას 90 მანეთს ვართმევდი და ეს კი დიდი არ არის იმ თეატრისათვის, რომელიც 500 მანეთს შემოსავალს იძლევაო.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, ბ-ნმა არაქსიანმა დრამ. საზოგად. გამგეობა თავიდანვე ისეთ გარემოებაში ჩააყენა, რომ ეს უკანასკნელი უზარალოთ ვერ გადარჩებოდა. უპირველესს ყოვლისა 90 მანეთი ქირა იმ თეატრისათვის, რომლის სცენაზედ ორის დეკორაციის მეტი არ იყო, მართლაც რომ ძალიან დიდია. ამას გარდა ბ-ნმა არაქსიანმა ერთი დღე არ დაუთმო გამგეობას: თუ გინდათ, უსათუოდ ორი დღე აიღეთ კვირაშიო. გამგეობამ სთხოვა თვეში ერთი კვირა დღე მაინც დაეთმო ქართულ წარმოდგენისათვის; ბ-ნმა არაქსიანმა არც ეს მოისურვა. არ მოისურვა ბ-ნმა არაქსიანმა აგრეთვე ადგილის ფასების დაკლება. ფასები კი ისეთი იყო, რომ ღარიბ ავლაბრელებს (უმთავრესად ესენი დადიოდნენ თეატრში) ხელი არ მიუწვდებოდათ. უკანასკნელ ადგილის ბილეთი ღირდა 30 კაპ. (ქართულ თეატრში აბაზი ღირს). ყოველ წარმოდგენაზე იყიდებოდა მხოლოდ 30 და 40 კაპ. ბილეთი. დასასრულ, ბ-ნმა

არაქსიანმა არ მოისურვა, რომ გამგეობას ქართულ წარმოდგენებისთვის საკუთარი კასსირი ჰყოლოდა, რადგან ამ გარემოებას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ქართულის წარმოდგენების შემოსავლიანობაზე.

⁂

ბევრი სასაცილო კორესპონდენცია მოსდის ქართულ გაზეთებს, მაგრამ რუსულ გაზეთებშიაც ხშირად შეგხვდებათ უცნაური რამ. ქალაქ ლაზარევიდან სწერენ „პრიბალტ. კრაი“-ს:

> ამ დღეებში აქ ჩხუბი მოუვიდათ ცოლსა და ქმარს; ცოლმა ერთი ქოთანი ცხელი ქაში გადაასხა თავზე ქმარს.

დუღს და გადმოდუღს საზოგადოებრივი ცხოვრება ქალაქ ლაზარევში! კორესპონდენტიც ყოჩაღი ყოფილა!..

თეატრი

თათრული წარმოდგენა. შაბათს, 1 ნოემბერს, თავად-აზნაურთა თეატრში გაიმართა თათრული წარმოდგენა. სცენის მოყვარეებმა თათრულ ენაზე წარმოადგინეს ახუნდოვის კომედია „ხანის ვეზირი“. წარმოდგენამ მწყობრად და კარგად ჩაიარა. ქალის როლებს ერთის გარდა ვაჟები ასრულებდნენ და კარგადაც ასრულებდნენ. წარმოდგენის შემდეგ სცენაზე იცეკვეს ლეკური, კინტაური და უზუნდარა. ხალხი ბევრი დაესწრო. სხვათა შორის, იყვნენ ოსმალეთისა და სპარსეთის ელჩები საელჩოების მოხელეებითურთ.

—

უკვე ვწერდით, რომ ქართული საღამო მოსკოვში სტუდენტთა სასარგებლოდ გაიმართება 9 ნოემბერს. საღამოს მართავს არტისტი თავ. ა. მ. სუმბათაშვილი. სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი ტერიან-კორლანოვი, პეტროვა, პროკოპოვიჩი, ბ-ნნი ოლენინი და სპერანსკი. საღამო გაიმართება „ქუთ. საკრებულოს“ სადგომში.

—

პეტერბურგის გაზეთებში გამოცხადებულია შედეგი იმ კონკურსისა, რომელიც დანიშნა პეტერბურგის სალიტერატურო-სახელოვნო საზოგადოებამ. ჟიური შესდგებოდა ა. ს. სუვორინისა, (რედაქტორ-გამომ. „ნოვ. ვრემია“-სი), ვ. პ. ბურენინისა, მ. ა. სუვორინისა (თანამშრომელნი იმავე გაზეთისა), ა. რ. კუგელისა (რედაქტ. „ტეატრ ი ისკუსტვო“-სი) და ე. პ. კარპოვისაგან (რეჟისორი). სულ საკონკურსოდ მიუღიათ 180 პიესა. კომისიას არც ერთი პიესა არ უცვნია სრულის პრემიის მიღების ღირსად. ნახევარი პრემიისა (300 მან.) მიუსაჯია მოსკოველ ჟურნალისტის ნ. მ. ნიკოლსკის პიესისთვის. სახელად ამ პიესას ჰქვიან „Меблированная пыль“. დრამატიული ესკიზია და შინაარსი თანამედროვე ცხოვრებიდან არის აღებული. ამას გარდა კომისიას ცხრა პიესა წარმოდგენის ღირსაც უცვნია.

—

ოპერა. 1 ნოემბერს პირველად წარმოადგინეს ტფილისში ახალი ოპერა ნაპრავნიკისა ფრანჩესკო და რიმინი. შინაარსი ოპერისა: ჯიანჩიოტი, ქალ. რიმინის მმართველი უცხადებს ხალხს თავის გარდაწყვეტილებას— შეირთოს თავის ერთგულ მოკავშირის პოლენტის ქალი ფრანჩესკო. ქალის მოსაყვანად გაჰგზავნა თავისი ძმა, ლამაზი ყმაწვილი კაცი პაოლო. პაოლომ მოიყვანა ქალი და წარუდგინა თავის ძმას, რომელიც აღტაცებაშია ფრანჩესკოს სილამაზით. ჯვარს დაიწერენ. ჯვარის წერამდე ჯიანჩიოტის აღმზრდელი გამოჰყავთ (დაბრმავებულია). ჯიანჩიოტი ჰსთხოვს თავის აღმზრდელს ანჯელოს დალოცოს საპატარძლო, რომელიც მიუახლოვდება ანჯელოს. ანჯელო დალოცავს, ხელს შეახებს სახეს და შეკრთება. ჯიანჩიოტო ჰკითხავს მიზეზს შეკრთომისას. ანჯელო უამბობს თავის წინადგრძნობას. ანჯელოს ფიქრით, ფრანჩესკო შეიქმნება მოღალატე. ვინ იქმნება ეს—ანჯელომ არ იცის; იცის მხოლოდ ის, რომ ახლოს არის, რომ ბაღში, წიგნის კითხვის დროს მოხდება ეს ღალატი და რომ ორივენი—ფრანჩესკოც და იმისი საყვარელიც განიგმირებიან ერთის მახვილით ერთად. საზოგადოების წინაშე გამომჟღავნდება, რომ ჯიანჩიოტის ძმას, პაოლოს უყვარს ფრანჩესკო და რომ უკანასკნელიც თაყვანსა სცემს პირველს. მოხდება ისე, როგორც ანჯელომ უწინასწარმეტყველა, თუმცა შეიძლებოდა ასეც არ მომხდარიყო. ლიბრეტოს შემდგენელმა მეოთხე მოქმედებაში საზოგადოებას დაანახვა, რომ ჯიანჩიოტომ გაიგო მოსალოდნელ ღალატის შესახებ; გაიგო და ნახა, როგორ ემუდარებოდა ფრანჩესკო თავის ქმარს არსად წასულიყო, რადგან სპეტაკი ქალის გულს მაინც არ უნდოდა ღალატი, ამის მოახლოვებას კი ჰგრძნობდა. ამის ასაცდენად ეხვეწებოდა ქმარს დარჩენილიყო. მაგრამ ლიბრეტოს შემდგენელს უთუოდ უნდოდა, რომ ქმარი წასულიყო, რომ შეთხზულიყო ღალატი და ქმარიც სწორედ იმ დროს მოსულიყო, როდესაც მოასწრობდა იმათ. ასეც მოხდა. ამ სცენის ნაძალადობა ცხადად სჩანს. პიესის ან ოპერის შინაარსი მაშინ მოქმედებს საზოგადოებაზე თავის სინამდვილით, როდესაც თავიდანვე არა სჩანს პროგრამმა ცხოვრებისა. მუსიკა ნაპრავნიკისა ლირიკული, მელოდიურია უფრო; საზოგადო შთაბეჭდილება ასეთია. ხოლო ამ მუსიკაში ვერ იპოვით გონების წარმტაცს, გულში ჩამწვდომ ჰანგს. საუკეთესო პარტიები ჯიანჩიოტისა (გლადკოვი), პაოლისა (ფიგნერი) და ფრანჩესკოსია (რენე რადინისა). სამივე მშვენიერად ასრულებენ თავიანთ პარტიებს. ხოლოთ ფიგნერს ამ საღამოს უფრო ჰლალატობდა ხმა. უკანასკნელ მოქმედებაში დუეტი პაოლოსა (ფიგნერი) და ფრანჩესკოსი (რენე-რადინისა) გრძნობით და მუსიკალურად შეასრულეს. წვრილმანი დეფექტებიც ბევრი იყო: ეს ნაკლი უფრო რეჟისორის ბრალია. უეჭველია მეორედ უფრო მწყობრად და კარგად იქნება დადგმული ეს ოპერა.

დაბა-სოფლები

სოფ. ეწერი (იმერეთი). თითქმის ორი წელიწადზე მეტია, რაც სოფელ ეწრის ერთ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი გადააკეთეს ორ-კლასიანად, რადგან ვერ აკმაყოფილებდა მოსწავლეთა მოთხოვნილებას. როცა აქაურ საზოგადოებას გამოუცხადეს, არსებული ერთ-კლასიანი სასწავლებელი უნდა გადაკეთდეს ორ-კლასიანად, თუ თქვენ საჭირო ხარჯს იკისრებთო, ხალხი სიამოვნებით მიეგება კეთილ საქმის განხორციელებას. თუმცა აქა-იქ მაშინაც გაისმა უკმაყოფილება, მაგრამ განაჩენზე სწრაფად მოაწერა ხელი ხალხმა, და მომდურავეებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. გავიდა დრო და მოახდინეს ყრილობა სკოლის ახალ შენობის აგების შესახებ მოსალაპარაკებლად, მაგრამ... მოგეხსენებათ ყოველ სოფელში ბრძანდება რამდენიმე ვაჟბატონი, რომელნიც ყოველ კეთილ განზრახვას ეღობებიან წინ. ამგვარმა სენმა აქაც იჩინა თავი, იჩინა და როგორ მერე: თითქმის შეუძლებელი გახდა საქმის განხორციელება. აგერ ხუთმეტჯერ მოხდა ყრილობა ამ ორ წელიწადში სკოლის შენობის შეძენის შესახებ, მაგრამ კეთილად მაინც ვერ დააბოლოვეს საქმე, რადგან გაჩნდა პარტიობა და ქიშპობა საზოგადოებაში. საბედნიეროდ, ამ ბოლო დროს ხალხმა შეიგნო სწავლის მიუცილებლობა და აღარ ირწმუნა ზოგიერთთა ცრუ აზრი. 28 ოქტომბერს ამოირჩიეს ამშენებელი კომიტეტი და შეუდგნენ ენერგიულად სკოლის შენობის აგების საქმეს.

ბაბუცაშვილი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 **ოქტომბერი**

კიშინევი. სამაზრო საერობო კრებამ დაადგინა, შეამცირონ საარჩევნო ცენზი 100 დესეტინამდე, ხოლო იმათთვის, ვისაც უმაღლესი ან საშუალო განათლება მიუღია, 50 დესეტინამდე. მოქალაქეთათვის ცენზი წინანდელი დასტოვეს. —6 ნოემბერს ოდესის სამოსამართლო პალატა დაიწყებს აღდგომის დღეებში ებრაელების წინააღმდეგ მომხდარ არეულობის საქმის განხილვას.

სოხუმი. დაპტევის ქვრივმა 30 ათასი მანეთი შესწირა გარდაცვალებულის ქმრის სახელობაზე დამის თავ-შესაფარის ასაგებად.

პერმი. „პერმსკი კრაი“-ს გამოცემა დროებით შეაჩერეს.

სევასტოპოლი. ნაღმით ააფეთქეს 1854 წელს ჩაძირულ გემის „ხესმა“-ს ნაწილები.

ტომსკი. წლევანდელს ჭვავის მოსავალში ბლომად აღმოჩნდა შხამიანი ბალახი. გუბერნიაში ამ ბალახისაგან ბევრი იწამლება, რაც ხშირად სიკვდილით ბოლოვდება. სოფლისა და ქალაქის მცხოვრებნი ადმინისტრაციამ გააფრთხილა. სამეცნიერო საზოგადოებები იხილავენ საკითხს ამ მცენარესთან საბრძოლველ ღონისძიების შესახებ. ქალაქში გასასყიდ ფქვილს ანალიზს უკეთებენ.

ტანჟერი. ლანსდოუნისა და დელკასეს შორის მოლაპარაკებამ მაროკოსათვის სესხის მოწყობის თაობაზე უნაყოფოდ ჩაიარა.

პარიზი. პალატამ მიიღო წინადადება ნაციონალისტ ბერრისა, მოახდინონ გამოძიება იმის თაობაზე, ემბერების საქმეში პოლიტიკური მოღვაწენი იღებდნენ მონაწილეობას თუ არა.

ბოგოტა. კოლუმბიის მთავრობამ მტკიცედ გადასწყვიტა, პანამაში აჯანყება მოუსპოთ.

სოფია. მთავრობამ ოფიციალურად აცნობა უცხოელ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, წინანდელ კაბინეტის მიერ განცხადებულ უარს საგაჭრო ხელ-შეკრულობის განახლების შესახებ, ახალი სამინისტრო უკანვე წაიღებსო.

ბერლინი. პროფესსორმა შიმდტმა იმპერატორის ავადმყოფობის შესახებ მოხსენება წაიკითხა და სთქვა, ორის თვის წინად ვნახე იმპერატორი და პირველად გავსინჯეო.

ვაშინგტონი. პრეზიდენტი რუზველტი თავის ეპისტოლეში კონგრესის მიმართ აცხადებს, რადგან კოლუმბიის მთავრობა ხელ-შეკრულობას პანამის არხის შესახებ არ ამტკიცებს, ეს არხი შეერთებულმა შტატებმა უნდა გასჭრანო.

2 **ნოემბერი**

სოფია. საერო კრების სესია დაიწყება კვირას. ოპოზიცია აპირობს შეეკითხოს მთავრობას იმის გამო, რომ პოლიციამ არჩევნების დროს უფლებას გადაამეტა და ბოროტად მოიხმარა იგი. იმ ამბავმა, რომ პეტერბურგში წითელი ჯვრის საზოგადოება მაკედონელთა სასარგებლოდ შემოწირულების შეგროვებას შეუდგა, აქ ყველა ასიამოვნა. სარაფოვი მოვიდა.

ბელოსტოკი. ვასწორებ გუშინდელ დეპეშის შეცდომას: „ორის ოპერაციის შემდეგ აქაურმა ხირურგებმა პოლიცმეისტერს მეტლინსკის ტყვია ვერ ამოუღეს; იგი ღრმად არის წასული თეძოში. ჭრილობა მძიმეა. ოპერაციას კიდევ გაუკეთებენ.

პეტერბურგი. ზაბაიკალის ვიცე-გუბერნატორად ბელომესტნოვი დაინიშნა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 31 ოქტომბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75	
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,90	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,32½	
ლონდონისაზე ჩეკები	94,75	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,62½	
ბირჟის დისკონტი	5-6½%	
4% სახელმწიფო რენტა	99½	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95⅛	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	465	გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	353	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	293½	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	225	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევს 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევს 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ხის ნახშირის
საწყობი
იაგორ გურგენის ძის მამინაიშვილისა (საკუთარის ტყიდან) გადავიდა ოლგას ქუჩაზედ, ბაშინჯაგოვის სახლში, № 23, სარაჯიშვილის ქარხნის პირდაპირ. (7—6.—5)

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო, ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

Дозв. ценз. Тифлисъ 2 Ноября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).